

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, დავით გურამიშვილის ქ. №12, ს/კ 437371915  
ტელ: 555 59 90 94, ელექტრონული მისამართი oz.serviscentri@gmail.com

N გ/40  
05/02/2020

40-011-2-202002051257



ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მერს

ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს.

ბატონო კონსტანტინე

გიგზავნით „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრ“-ის მიერ 2019 წელს გაწეული სამუშაოების ანგარიშს

ყოველდღიურად ხდება ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული 23 ქუჩისა და პერიოდულად გარეუბნებში არსებული ქუჩების დაგვა დასუფთავება საერთო ფართობით 300000კვ.მ. ყოველდღიურად სუფთავდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 6 მოედანი, 3 ბაღი და 4 სკვერი.

ყოველდღიურად სუფთავდება ურეკი-შეკვეთილის 16 კმ-ნი სანაპირო ზოლი, აღნიშნულ მონაკვეთზე ზღვის სეზონთან (4 თვე) და დამსვენებლების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით სამუშაოების მოცულობის გაზრდის გამო ხდება დამატებითი მუშახელის აყვანა.

სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1238 ცალი 1.1 კბ.მ-ნი ურნა. მ.შ. ქალაქი 370 ცალი, სოფელი 868 ცალი და 0.12 კბ.მ-ნი 130 ცალი ურნა (სანაპირო ზოლში) პერიოდულად ხდება მუნიციპალიტეტის სოფლებთან დამაკავშირებელი გზებისა და სოფლის ცენტრალური მოედნების დაგვა-დასუფთავება სისტემსტურად ხდება ქალაქის ტერიტორიაზე გამდინარე მდინარეებისა (საერთო ჯამში 54950 მ) და სანიაღვრე არხების ( საერთო ჯამში 52800 მ) კალაპოტების საყოფაცხოვრებო ნარჩენების, შლამის და სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებს ემსახურება 8 ერთეული ნაგავმზიდი, 5 ერთეული ტრაქტორი. 1 ერთეული პიკაპი, 2 ერთეული მისაბმელი საცერი (პლაჟითვის). 18 მძღოლი, 4 მექანიზატორი, 18 დამხმარე ოპერატორი და 56 მუშა (მეუზოვე), საკურორტო სეზონისთვის ემატება 70 მუშა.

სულ 2019 წელს ნაგავსაყრელზე შეტანილი იქნა 10750 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრ“-ის ბალანსზე ირიცხება 39 ერთეული ტექნიკა, მ.შ. 30 ერთეული მუდივ სარგებლობაში, 9 ერთეული დროებით

სარგებლობაში. მუდმივ სარგებლობაში მყოფი ტექნიკა ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ, როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას და გარე განათების ქსელს, ასევე ამორტიზირებული ხეების მოჭრასა და გადაბეღვით სამუშაოებს. რაც შეეხება დროებით სარგებლობაში გადმოცემულ მძიმე ტექნიკას მათ მიერ მერიის მოთხოვნის შესაბამისად ყოველდღიურად ასრულებდა მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა გზების და სანიაღვრე არხების, საყანე ფართობებში სადრენაჟო არხების გასუფთავება-მოწესრიგებას, ამოღებული გრუნტის გამოტანას, სხვადასხვა ლოკაციებზე მდინარეების კალაპოტის გასწორხაზოვნებას და ა.შ. ზემოთ დასახელებულ ტექნიკას მუშა და გამართულ მდგომარეობაში მზადყოფნის მიზნით სისტემატურად უტარდებოდა, როგორც სარეგლამენტო მომსახურება (ძრავის ზეთი, ჰიდრავლიკის ზეთი, ფილტრები და ა.შ.) ასევე საჭიროების შემთხვევაში სარემონტო სამუშაოები.

გარე განათების ქსელში შეიცვალა და დამონტაჟდა 57 ც. ელ. მრიცხველი, 1065 ც. 70 ვტ. სოდიუმის ნათურა, 225 ც. 150 ვტ სოდიუმის ნათურა, 8581 ც. 65 ვტ. ეკო ნათურა, 2513 ც დიოდური ნათურა, 348 ც 15 ვტ ნათურა, 1009 ც ფაიფურის ბუდე, 320 მ სამონტაჟო ხაზი, 11195 მ ელ. სადენი, 147 ც. ავტომატური ამომრთველი, 195 ც ფოტოთვალი, 365 ც იგნიტორი, 180 ც კრონშტეინი 196 ც მაგნიტური გამშვები, 74 ც ელ. მრიცხველის კარადა, 196 ც ლამპიონის კორპუსი, 821 ც. დროსელი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ: ქ. ოზურგეთში, დაბა ურეკიში, სოფლებში: შეკვეთილი, ბაილეთი, შემოქმედი, ბოხვაური, ლიხაური, ჭანიეთი , ლაითური, გურიანთა, თხინვალი, მელექედური მოჭრილი იქნა სტიქიიდან დაზიანებული და ამორტიზირებული 152 ზირი ხე, მოცულობით 298 კმ.მ., ასევე შეკვეთილში არსებულ მუსიკოსების პარკში მოჭრილი იქნა გამხმარი 12 ძირი ევკალიპტის, 14 ძირი ივანის და 11 ძირი თხმელის ხე, რომლებიც დახერხილ იქნა და დაურიგდა სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე დეკორატიული ფორმირება ჩაუტარდა მრავალწლიან ნარგავებს, კერძოდ: რუსთაველის ქ. -37 ძირი, გურამიშვილის ქ. 14 ძირი, დოლიძის ქ. 39 ძირი, ჭაჭავაძის ქ. 28 ძირი. პარკებსა და სკვერებში დაირგო 124 ძირი მრავალწლიანი ნარგავი უნივერსიტეტის ქუჩაზე ხანძრისგან გადამწვარ ქარსაფარ ზოლში დაირგო 134 ძირი კრიპტომერიის ჯიშის ხე. სანარიროს ქუჩაზე დაირგო 32 ძირი ივანი. არსებულ ნარგავებს ჩაუტარდა აგროტექნიკური სამუშაოები, ხოლო ბუჩქოვან ნარგავებს მიეცა მინერალური სასუქი. ქ. ოზურგეთში და დაბა ურეკში კირით შეეთეთრდა 1960 ძირი ხე. გაცელილი და ეკალ-ბარდებისგან გაწმენდილი იქნა 58 ჰა. ფართობი. გარემონტდა და აღდგენილი იქნა სანიაღვრე არხებზე არსებული ცხაურები, ქ. ოზურგეთში და დაბა ურეკში შეიღება ბორდიურები, დაიხაზა ქვეითა მოსიარულეთა გადასასვლელები, გარემონტდა და შეიღება მოსასვენებელი სკამები, დამზადდა პატარა სანაგვე ურნები, საცხოვრებელ კორპუსებზე გაიწმინდა და შეკეთდა საწვიმარი ღარები(ჟოლუბები), შეკეთდა მერიის შენობის სახურავზე გასასვლელი რკინის კარები. მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე მოხდა საკონცერტო სცენის მონტაჟი და დემონტაჟი. დამონტაჟდა საახალწლო ნამძვს ხის კონსტრუქცია. მოიჭრა 6 ძირე ავარიული ხე.

ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებული 7 სასაფლაოდან ყოველდღიურად ხდებოდა ნარჩენების გატანა (ყვავილები, ქაღალდები, გაცელვისგან წარმოქმნილი ნარჩენები, პოლიეთილენი და ცელოფანი). მუნიციპალიტეტში არსებული 137 სასაფლაოდან გაიცელა 43 სასაფლაო, მათ შორის ზოგიერთი რამოდენიმეჯარ, (ჯამურად

142 სასაფლაო) საერთო ფართობით 85 ჰა. ქიმიკატებით შეიწამლა 21 სასაფლაო, 4 ჰა ფართობი. ეკალ-ბარდებიდან გაიწმინდა 15 ჰა ტერიტორია, შეიღობა 70 გრძივი მეტრი ღობე, შეკეთდა და აღდგენილი იქნა 300 მ ღობე.

ქალაქის ტერიტორიაზე დაჭერილი და იზოლაციაში გადაყვანილი იქნა 44 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთა მეკატრონეებზეც გატარებული იქნა შესაბამისი საჯარიმო სანქციები. დაჭერილი და თავშესაფარში გადაყვანილი იქნა უმეტესადაა ურეოდ დარჩენილი და მაწანწალა 823 სული ძაღლი, რომელთაც ჩაუტარდათ იდენტიფიკაცია, ვაქცინაცია დაავადებებზე, დამუშავდა პარაზიტებზე. 244 სულს ჩაუტარდა კასტრაცია, 248 სულს სტერილიზაცია, 320 სული აიცრა ცოფზე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელი 1462 იურიდიული ობიექტი, მ.შ. 281 სეზონური. 2019 წელს ამოღებული იქნა და ხაზინის ანგარიშზე ჩაირიცხა 238955.35 ლარი.

თენგიზ ქუტიძე



დირექტორი

ააიპ "მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი"

